



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 372/ი

15 05 2019წ.

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების
ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის
დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
ცენტრის დირექტორის მოადგილის 2019 წლის 08 მაისის №541045 სამსახურებრივი ბარათის
გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით
დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების
პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად
ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების
პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის
შეწყვეტის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული
პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6)
კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების
ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი**

I თავი - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხებს.

**მუხლი 2. ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის
წესის მიზანი**

ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის (შემდგომში - წესი) მიზნებია:

- ა) სფეროს/დარგის კვალიფიციური კადრების ჩართულობით, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესის შეუფერხებლად, თანმიმდევრულად და სრულფასოვნად განხორციელება;
- ბ) სფერო/დარგის კვალიფიციური კადრების ჩართულობით, იურიდიული პირების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით - ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- გ) სფერო/დარგის კვალიფიციური კადრების ჩართულობით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისთვის, ცენტრის მიერ დადასტურებული/განხორციელების უფლება მინიჭებული პროგრამების განხორციელების პროცესის - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და ამ გზით დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება მონიტორინგის გზით;
- დ) ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

II თავი - ექსპერტთა შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის წესი

მუხლი 3. ექსპერტთა კორპუსი

- 1. ექსპერტთა კორპუსის ფორმირების საფუძველია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრული სწავლის სფეროები;
- 2. ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ შესაბამის სფეროებში დასაქმებული, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც კონკურსის საფუძველზე შეირჩევიან საკონკურსო კომისიის მიერ;

3. ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა

1. კონკურსის გზით ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;

ბ) კონკურსის გამოცხადება;

გ) კანდიდატის მიერ განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი; ავტობიოგრაფია (CV), ასევე, კანდიდატის პროფესიული ცოდნის, უნარებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატები, ცნობა სამუშაო ადგილიდან და სხვა);

დ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა;

ე) გასაუბრება;

ვ) ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით, კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთა სიის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ზ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ექსპერტთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში;

2. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით/კონკურსის გამოცხადების გარეშე შერჩევის პროცედურა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ამ მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებულ ეტაპს/ეტაპებს.

3. რეგულირებადი პროფესიების შესაბამის სფეროებში ექსპერტები, შერჩეულნი იქნებიან მხოლოდ შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე.

მუხლი 5. ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება და შესაბამის დარგში ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;

ბ) პროფესიული განათლება და შესაბამის დარგში ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;

გ) ბოლო სამი წლის განმავლობაში დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება;

დ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის № 131 დადგენილება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“;

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“;

ვ) იცნობდეს შესაბამის პროფესიულ სტანდარტ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ექსპერტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარები:

- გუნდური მუშაობის უნარი;

- ეფექტური ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარები;

- კომპიუტერული უნარები;

- მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

2. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით შერჩევისას ცენტრი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი/განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მუხლი 6. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი

1. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი არის ექსპერტის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

2. ექსპერტთა კორპუსის წევრმა პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების/მონიტორინგის საქმისწარმოების დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში არ უნდა დაამყაროს შრომითი ურთიერთობა შესაბამის იურიდიულ პირთან.

3. ექსპერტი არ არის უფლებამოსილი ცენტრის თანხმობის გარეშე ცენტრის სახელით გაუწიოს კონსულტაცია იურიდიულ პირს.

4. ექსპერტი, ვიზიტამდე, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საჭიროების შემთხვევაში, იურიდიულ პირთან კომუნიკაციას ახდენს მხოლოდ ცენტრის წარმომადგენლის მეშვეობით.

III თავი - ექსპერტთა საქმიანობის წესი

მუხლი 7. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება ხდება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მოთხოვნების დაცვით.

2. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა და იურიდიულ პირთან განხორციელებული ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, პროგრამების სპეციფიკისა და იურიდიული პირის რესურსების გათვალისწინებით.

3. მონიტორინგის გზით, სტანდარტების შესრულების შემოწმების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, მონიტორინგის ფორმა (ვიზიტით ან ვიზიტის განხორციელების გარეშე) და ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ შესასრულებელი სამუშაო (გარდა ამ მუხლის მე-4/მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებებისა), ასევე, ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა, განისაზღვრება იურიდიული პირის პროგრამების რაოდენობის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინებით, რაც აისახება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში.

4. პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ან მონიტორინგის საქმისწარმოების მიზნით შექმნილი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის ფუნქციაა:

4.1. თუ პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ან მონიტორინგის წარმოება მიმდინარეობს ვიზიტის გარეშე:

ა) შეისწავლოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

ბ) დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შესაფასებელ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები;

გ) ცენტრის მეშვეობით გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები;

დ) შესწავლილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს სამუშაო შეხვედრაში;

ე) შეადგინოს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის ანგარიში;

4.2. ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში:

- ა) მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში;
- ბ) წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი ანგარიშის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და განახორციელოს დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობები;
- გ) მოახდინოს იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის შესაბამისობის გადამოწმება იურიდიულ პირთან არსებულ მდგომარეობასთან და იმ სტანდარტებთან, რომლის დაკმაყოფილება და შესრულება აუცილებელია პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად;
- დ) ვიზიტის განხორციელების/დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვაში, შეჯამებასა და დასკვნის მომზადებაში;
- ე) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაში და საჭიროების შემთხვევაში უპასუხოს დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 8. ცენტრის თანამშრომლის მიერ ექსპერტთა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა და შეფასების ერთიანი მიდგომების დაცვა

1. ექსპერტთა საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრმა ექსპერტთა ვიზიტზე შესაძლებელია მიაღწიოს ცენტრის თანამშრომელი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ცენტრის თანამშრომლის ფუნქციები აღინიშნება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად იურიდიულ პირთან ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს:
 - ა) ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის უზრუნველყოფას, ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასებით ყველა ეტაპზე;
 - ბ) ვიზიტის განმავლობაში ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის № 131 დადგენილების დანართით დამტკიცებული „პროფესიული პროგრამის პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლის უზრუნველყოფას, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს აწოდებს ინფორმაციას გამორჩენილი ან/და დასაზუსტებელი საკითხების შესახებ;
 - გ) პროგრამის შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შესახებ ცენტრისათვის შეტყობინების უზრუნველყოფას;
 - დ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დახმარების გაწევას ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფისათვის.

მუხლი 9. დასკვნის შედგენა

1. იურიდიული პირის მიერ, ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მომზადებას.

2. დასკვნის ფორმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. ექსპერტთა საქმიანობის ანაზღაურება

ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

IV თავი - ექსპერტთა პროფესიული განვითარება და მათი მუშაობის შეფასება

მუხლი 11. ექსპერტთა პროფესიული განვითარება

1. ცენტრი პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ექსპერტების პროფესიული განვითარება, კერძოდ, იგი:

ა) ატარებს ტრენინგებს ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის არსებული სტანდარტებისა და პროცედურების, პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პერიოდული უკუკავშირით უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) უზრუნველყოფს ექსპერტებისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადებას;

გ) ორგანიზებას უწევს ექსპერტთა კორპუსთან პერიოდულ შეხვედრებს პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესის ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

2. ცენტრი ექსპერტთა კორპუსის წევრებს სთავაზობს ტრენინგების ჩატარებას იურიდიული პირისა და ექსპერტთა კორპუსის სხვა წევრებისთვის.

მუხლი 12 . ექსპერტთა მუშაობის შეფასება

1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას ამ წესის დანართების სახით ჩამოყალიბებული კითხვარების მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კითხვარს, ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის ჩაბარებამდე ავსებს შესაბამისი იურიდიული პირი, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტის/ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ექსპერტების საქმიანობა ექვემდებარება ცენტრის მიერ პერიოდულ შეფასებას. ექსპერტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს კონკრეტული ექსპერტის, ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

V თავი - ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

მუხლი 13. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ექსპერტის მიერ ექსპერტთა ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;

ბ) ექსპერტის მიერ მისი ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება;

გ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;

დ) ექსპერტის პირადი განცხადება;

ე) ექსპერტის მიმართ, კანონიერ ძალაში შესული, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ვ) სასამართლოს მიერ ექსპერტის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა;

ზ) ექსპერტის გარდაცვალება;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. საქართველოში განხორციელებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების და/ან ექსპერტების ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის და/ან მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაციისა და ექსპერტთა კორპუსის ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

მუხლი 14. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების დაწყება

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება წერილობითი განცხადების საფუძველზე ან/და ცენტრის ინიციატივით, გარდა ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) ექსპერტის სახელსა და გვარს;

დ) მოთხოვნას;

ე) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ვ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

3. ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ან/და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.

4. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ექსპერტის კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხის განხილვას.

მუხლი 15. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების ჩატარება

1. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ან/და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას (შემდგომში - კომისია). კომისია ცენტრის დირექტორს სრული შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია რეკომენდაციას ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

3. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან/და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, არსებული დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენს „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

4. ამ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული რეკომენდაციის, ჩადენილი გადაცდომის შინაარსის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგის საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, ცენტრის დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ;

ბ) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების

შეწყვეტის შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ექსპერტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება წერილობითი ფორმით, შემდგომში აღნიშნული მითითების გათვალისწინების/შესრულების ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული მექანიზმითა და ვადაში შემოწმების უფლებით. ექსპერტის მიერ აღნიშნული მითითების შესაბამის ვადაში არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ.

6. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ექსპერტს პირადად, ხოლო, მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს მას ფოსტით.

7. ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე, ექსპერტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი ხელახლა გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.

იურიდიული პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების ფორმა

იურიდიული პირის სრული სახელწოდება	
წარმოების სახელწოდება	- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება; - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმება (მონიტორინგი)
პროგრამ(ებ)ის სახელწოდება	
ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრების სახელი და გვარი	
ბრძანების რეკვიზიტები (ნომერი, თარიღი)	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	

1. გთხოვთ, ექსპერტის საქმიანობა შეაფასოთ ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით ვიზიტის მიმდინარეობისას

შეფასების კრიტერიუმები	დიახ (3 ქულა)	მეტწილად (2 ქულა)	ნაწილობრივ (1 ქულა)	არა (0 ქულა)	კომენტარი ¹
1 ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით	☐	☐	☐	☐	
2 ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი სრულად დაესწრო ვიზიტს	☐	☐	☐	☐	
3 ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი სვამდა სტანდარტის შესაფასებლად საჭირო და მნიშვნელოვან კითხვებს	☐	☐	☐	☐	
4 ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი გაცნობილი იყო იურიდიული პირის დოკუმენტაციას	☐	☐	☐	☐	
5 ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია უკავშირდებოდა ვიზიტით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას*	☐	☐	☐	☐	

¹ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კითხვა შეფასდება 1 ან 0 ქულით, გთხოვთ, მიუთითეთ ექსპერტის ვინაობა და მოიცვანოთ მაგალითი

	*იმ შემთხვევაში თუ ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუთხოვია დოკუმენტაცია მიუთითეთ კომენტარის სახით					
6	ექსპერტი პროფესიონალურად, სფეროში არსებული სიახლეების გათვალისწინებით, აფასებდა იურიდიულ პირს	☐	☐	☐	☐	
7	ექსპერტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად	☐	☐	☐	☐	
8	ექსპერტი მოქმედებდა კოლეგიალურად და კორექტულად	☐	☐	☐	☐	

2. საერთო ჯამში, 5 ბალიანი სკალის პირობებში, როგორ შეაფასებდით ექსპერტის მუშაობას

5	4	3	4	1
☐	☐	☐	☐	☐

(შენიშვნა: შეფასების სკალაზე 5 ქულა აღნიშნავს „ძალიან კარგ“ შეფასებას, 1 ქულა კი „ძალიან ცუდ“ შეფასებას)

3. გთხოვთ, დამატებითი კომენტარებისა და მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში გამოიყენეთ მოცემული გრაფა

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

თარიღი

ხელმოწერა

ცენტრის თანამშრომლის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის საქმიანობის შეფასების ფორმა

კითხვარის შევსების თარიღი -----

იურიდიული პირის სრული სახელწოდება	
წარმოების სახელწოდება	- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება; - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმება (მონიტორინგი)
პროგრამ(ებ)ის სახელწოდება	
ექსპერტის სახელი და გვარი	
ბრძანების რეკვიზიტები (ნომერი, თარიღი)	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	

გთხოვთ, ექსპერტის საქმიანობა შეაფასოთ ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით

შეფასების კრიტერიუმები	დიახ (3 ქულა)	მეტწილად (2 ქულა)	ნაწილობრივ (1 ქულა)	არა (0 ქულა)
1 ექსპერტმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	☐	☐	☐	☐
2 ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები	☐	☐	☐	☐
3 ინტერვიუების ჩატარებისას ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული	☐	☐	☐	☐
4 ექსპერტის სვამდა სტანდარტის შესაფასებლად საჭირო და მნიშვნელოვან კითხვებს	☐	☐	☐	☐
5 ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა ინტერვიუების პროცესში	☐	☐	☐	☐
6 ექსპერტმა გამოიკვლია ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად და მოიპოვა შესაბამისი ინფორმაცია	☐	☐	☐	☐
7 ექსპერტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად	☐	☐	☐	☐
8 ექსპერტი მოქმედებდა კოლეგიალურად და კორექტულად	☐	☐	☐	☐

კომენტარი

ნარატივის სახით მოკლედ შეაფასეთ ექსპერტის საქმიანობა, ხოლო რომელიმე შეფასების კრიტერიუმის მიხედვით 1 - ით და 0-ით შეფასების შემთხვევაში მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.